11 ოქტომბერი სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეა




ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესანიშნავი ადამიანები — სოფლის მეურნეობის მოწინავენი არიან, ერთი პატარა ჯგუფი იმ მრავალათასიანი არმიისა, რომელიც მკლავმოფლეთილად ქმნის სახალხო დოვლათსა და ბარაქას. მარცხნიდან — გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობის მეპარხლეთა ბრიგადირი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘᲫᲔ; გარდაბნის რაიონის სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწველავი ᲜᲣᲜᲣ ᲧᲘᲪᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ; გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობის მესაფინდე ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲚᲐᲖᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ; ვანის რაიონის სოფელ მუქედის კოლმეურნეობის მებოსტნე ᲖᲘᲠᲐ ᲝᲩᲩᲘᲙᲘᲫᲔ; აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელ მუხურის კოლმეურნეობის მექანიზატორი ᲚᲚᲐᲕᲐ ᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობის მეჩაიე ᲪᲘᲚᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ.

ფოტოები შ. ჩხეტიანის, ვ. მორგუნოვის, ა. ჩარკვიანის, ვ. ბერსამიას, ნ. ნანიკაშვილის, ი. ჰუხონელიძის და თ. ფუტკარაძისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 ოქტომბერი კვირა 1970 ფასი 2 კაპ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ № 238 (14842)

მოგილოცავთ დღესასწაულს, ჩვენო კვირაველო მეგობრებო, სოფლის მშრომელებო!

50

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზეიმი

მ. ღვინჯილია,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წელს კარგი მოსავალი მიიღეს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. წარმატებით სრულდება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები. ვენახებისა და ბაღების, ჩაისა და ციტრუსის პლანტაციების მზრუნველმა მოვლამ კანონზომიერი შედეგები მოიტანა: გაიზარდა ამ კულტურების მოსავლიანობა, გადიდდა მრავალწლოვანი ნარგავების გამოსავლიანობა. ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 258 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. ამით 114 ათასი ტონით გადააჭარბებს ხუთწლედის დავალებას და 28 ათასი ტონით — საიუბილეო 1970 წლის ვალდებულებას. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მარცვლეულის, ციტრუსების, დაფნის ფოთლის, ხორცის, რძისა და აბრეშუმის პარკის დამზადების ხუთწლიანი გეგმები.

ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ მიწათმოქმედთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წელს სამუშაოები უანგბისა და პლანტაციებში წარმოებდა დადგენილ აგროტექნიკურ ვადებში, კარგად იყენებდნენ მინერალურ სასუქებს, ჰერბიციდებს, შხამქიმიკატებს, ახალ ტექნიკას, იცავდნენ სწორ რწყვას. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გადაჭარბებით შესრულდება აგრეთვე ყურძნის, ციტრუსების, ხილის, შაქრის ჭარხლის, ტუნგის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა კულტურების წარმოებისა და დამზადების დავალებანი.

წელს რეკორდული მოსავალი მოიწიეს აჭარელმა მეჩაიეებმა — სამუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 5.650 კილოგრამი ბარისხოვანი ფოთოლი. ოფხაზეთის მეჩაიეებმა გადასამუშავებლად გაგზავნეს 7.400 ტონით მეტი ნედლეული, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ქების ღირსი არიან ბახარაძის რაიონის მეჩაიეები. რომლებმაც წელს კვლავ ისახელეს თავი; მოკრიფეს 45.700 ტონა ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 40.720 ტონის ნაცვლად. დიდი გადაჭარბებით შესრულეს თავიანთი გეგმები აგრეთვე ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა. პლანტაციების მოსავლიანობა შესამჩნევად ამაღლდა წალენჯიხის, ცხაკაიას, წყალტუბოს, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ხობის, ლანჩხუთის, ტყიბულის, წულუკიძის, ჩოხატაურის და სხვა რაიონებში.

ჩაის ფოთლის ნედლეულის წარმოების გადიდებაში დიდი წარმატებანი მოიპოვეს ინგირის, ლაითურის, ოჩხამურის, წალენჯიხის, ჩაქვის, დიდი ჭყონის, და ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა, სოფლების რუხის, დურიფშის, ხუცუბნის, ნაკანების, ოქუმის, ქოჩარისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

ვინ არ იცნობს გამოჩენილ ვეტერან მეჩაიეებს სოციალისტური შრომის გმირებს თ. უუფუნიას, დ. ტაკაძეს, ტ. ჩხაიძეს, ა. ჯიჯავაძეს, ჭ. სარსანიას, ტ. ტაკებუჩავას, თ. ცინცაძისა და სხვებს. ვეტერანებს როდი ჩამორჩებიან ჩაის მოვლა-მოყვანის ახალგაზრდა ოსტატები, სოციალისტური შრომის გმირები კ. ნაცვლაძე, დ. ნოვწივაძე, ნ შენგელია, ლ. ჩხაიძე, ჭ. გოგიტიძე და სხვები.

წელს კარგად იმუშავეს ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ მძღოლებმა, მექანიზატორებმა ნ. ხასაია, ი. შულაია, ს. აფხაზავა, ხ. ლოლუაძ. თვითეულმა 80-90 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

ნაკლები ვალდებულებანი პირნათლად შეასრულეს ქართველმა მევენახეებმა. ყურძნის კრეფასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში თავი ისახელეს გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ყვარლის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, რაიონების მევენახეებმა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყურძენს წარმატებით კრეფენ ქართლში, იმერეთში...

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ შრომის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა Ვ. ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔᲛ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ სეზონში ბრიგადისათვის გამოყოფილ 57 ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფა 100 ცენტნერი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერის ნაცვლად. უხვი მოსავალი მოიწიეს აგრეთვე თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის ვ. ბერაშვილის ბრიგადაში, ტიბაანის, გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში. წლეულს უხვი მოსავალი მოიწიეს ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის კოლმეურნეობის მევენახეებმა. არგვეთის საბჭოთა მეურნეობაში, საჩხერის რაიონის სოფელ სავანის, დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობასა და სხვა მეურნეობებში.

მევენახეებს მხარში უდგანან მეხილეებიც. კარგი მოსავალი დამწიფდა გორის, ქარელის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებსა და სამრეწველო მეხილეობის სხვა ზონებში. ქართველმა მეხილეებმა იკისრეს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სამშობლოს მისცეს 18 ათასი ტონით მეტი ხილი, ვიდრე დავალებითაა გათვალისწინებული: დამზადონ 158 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ხილი.

მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების ხახელმწიფო გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს წითელწყაროს, გურჯაანის, ყვარლის, გარდabნის, მარნეულის, მცხეთისა და სხვა რაიონებმა.

ბოსტნეულსა და კარტოფილს წარმატებით ამზადებენ მარნეულის, გარდabნის, თელავის, ბოლნისის, ლაგოდეხის, მცხეთის, წალკის, ახალციხის, ვანის, სამტრედიისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, კერძოდ მიწების მოსარწყავად, დაჭაობებული ფართობების ამოსაშრობად და სასოფლო-სამეურნეო მიმოქცევაში გადასაცემად. სარწყავი მიწების ფართობი საქართველოში აღწევს 377 ათას ჰექტარს, ამოშრობილია 118 ათასი ჰექტარი, დიდი საირიგაციო და სამელიორაციო მშენებლობა მიმდინარეობს ამჟამად ალაზნის ველზე და კოლხეთის დაბლობში.

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲬᲘᲜᲘ. ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲔᲠᲥᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲤᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲬᲘᲜᲘ. ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲔᲠᲥᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲤᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ.

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲥᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ. ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲘᲬᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ.

მსოფლიო დღეს

მშვიდობის საკითხებიდან

(დასასრული)

ეკითხულობდი, გფიქრობდი მე-19 საუკუნის რუსეთის საოცარ გამბედულებაზე, რომელიც ცემბირის რკინიგზას აშენებდა. მაგრამ ამ არტერიაზე, რომელიც აერთიანებს ვლადივოსტოკსა და ევროპულ რუსეთს, დღეს ამენდა მთელი რიგი ქალაქები, რომელთა ყველაზე საოცარი მაგალითი, რა თქმა უნდა, ნოვოსიბირსკია, სადაც გამოყენებულია ყველაზე მოწინავე ტექნოლოგია ნიადაგისა და წიაღის დაუშრეტელი სიმდიდრის დასამუშავებლად. ეს საბჭოთა კავშირის, მისი მეცნიერებისა და ინჟინრების, ციმბირის მოსახლეობის და, მე ვიტყოდი, მთელი კაცობრიობის საამაყო საქმეა: კაცობრიობა ხედავს, რომ ცივილიზაცია ერეცლდება იქ, სადაც 50 წლის წინათ მოგზაური მხოლოდ ტყეს ხედავდა.

ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობის ფარგლებში საფრანგეთი მზად არის შეუერთდეს ამ განვითარებას. მაგრამ ეს შეუძლია მხოლოდ თავისი შესაძლებლობების შესაბამისად და, ყველაზე ხშირად, ალბათ, სხვა სახელმწიფოებთან ერთად. მიუხედავად ამისა ეს ერთხელ კიდევ დაადასტურებს საფრანგეთისა და საბჭოთა მთავრობების მტკიცე გადაწყვეტილებას გააძლიერონ არა მარტო გაცვლა, არამედ ჩვენი მეცნიერების, ინჟინრებისა და სპეციალისტების ერთობლივი მუშაობა. ეკონომიურ უპირატესობათა გარდა, ადამიანთა უკეთესი ურთიერთგაგება, ერთობლივი მონაწილეობა ძნელ წამოწყებებში ხელს შეუწყობენ იმ კავშირის განმტკიცებას, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს, და ჩვენს ხალხებს შორის იმ ადამიანური ურთიერთობის შექმნას, რომელიც სანგრძლივი მშვიდობის მტკიცე საფუძველია.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ. მან აღნიშნა, რომ ნოვოსიბირსკის მცხოვრებლები გულთბილად და გულითადად შეხვდნენ ფრანგ სტუმრებს და თქვა: მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა მივსალმებოდით ბატონ პრეზიდენტს, მის მეუღლეს, მათს თანმხლებ პირებს ციმბირის სტუმართმოყვარე მიწა-წყალზე.

ამბობენ, თქვა შემდეგ ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ, რომ ბუნება თავის დაღს ასვამს ადამიანთა ხასიათს. ალბათ, ამიტომ შემთხვევით რიდი ახასიათებს ციმბირელებს ფაროო გაქანება, პირველადმხეფნთა სულისკვეთება, სიმტკიცე, გაჭირვების გადალახვის უნარი. ისინი თავისი შრომით ქმნიან ახალ ციმბირს, მის გიგანტურ ელექტროსადგურებს, სამრეწველო და სამეცნიერო კომპლექსებს. ვინც ადრე ყოფილა ნოვოსიბირსკში, აუცილებლად შეამჩნევდა, თუ რა სწრაფად იზრდება ქალაქი. ისეთია მთელი ციმბირიც — წლითწლობით იცვლება მისი სახე.

და მაინც ციმბირი ისეთი დიდი და მდიდარია, რომ აქ ჯერ კიდევ უამრავი საქმეა. ეს იზიდავს აქეთ ახალგაზრდობას, რომელსაც უყვარს ძველი გზები, ფართო სივრცეები. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ციმბირი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და ამასთან პერსპექტიული რაიონია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ამხ. ნ. ვ. პოდგორნი გულთბილად მიესალმა ნოვოსიბირსკის მცხოვრებლებს, ყველა სახელოვან ციმბირელს და უსურვა ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები ჩვენი საამობლოს საკეთილდღეოდ.

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი პროგრესის საუკუნეში, აღნიშნა შემდეგ ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობას, მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო გამოცდილების გაზიარებას. „ამყოფილებით შეიძლება ვთქვათ, რომ ამ სფეროში სსრ კავშირმა და საფრანგეთმა დაამყარეს მრავალმხრივი და სასარგებლო თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობის დიაპაზონი ფართოა: ეს არის ავტომობილმშენებლობა და ქიმია, ფერადი ტელევიზია, ეთოობლივი მუშაობა მაღალი ენერგიების ფიზიკის, კოსმოსური სივრცის ათვისების დარგში.

ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ჩვენი თანამშრომლობა სულ უფრო მჭიდრო ხდებოდეს, მოიცავდეს ახალ დარგებს, უფრო მყარი და სანგრძლივი იყოს.

ჩვენ, ბატონო პრეზიდენტო, ხალხით გიჩვენებთ ჩვენი მეცნიერებისა და ინჟინრების მიღწევებს. ზოგი რამ თვალ უკვე სახეა, ხვალ გიაცნობთ საბჭოთა მეცნიერული აზროვნების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებას.

თავის მხრივ საფრანგეთის მეცნიერებამ და ტექნიკამ მაღალი ავტორიტეტი დაიმსახურეს საბჭოთა კავშირში. ერთი სიტყვით, ჩვენს ორ ქვეყანას ბევრი რამ აქვს ერთმანეთისაგან სასწავლი.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის ლონისძიებათა შუხამება ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში ხელს უწყობს, და ამის ბევრი კონკრეტული დადასტურებაც გვაქვს, ამა თუ იმ ამოცანათა უფრო სწრაფ გადაწყვეტას და ამასთან ძალებისა და სახსრების დაზოგვას. ჩვენი აზრით, ციმბირის ბუნებრივი რესურსების განვითარებაშიც, რასაც გეგმაზომიერად ახორციელებს საბჭოთა ხალხი, არსებობს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გარკვეული შესაძლებლობანი.

ბატონო პრეზიდენტო! დღეს თქვენ გვირგვინით შეამკეთ დიდი სამამულო ომის წლებში დაღუპულ ციმბირელ მეომართა დიდების მონუმენტი. ცოტაა ისეთი ადგილი ჩვენს მიწა-წყალზე, სადაც ალმართული არ იყოს დაღუპულ გმირთა ძეგლები. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ძეგლი საფრანგეთშიც ბევრია. საბჭოთა ადამიანების მეხსიერებაში და, როგორც დარწმუნებული ვართ, ფრანგების მეხსიერებაშიც არ წაიშლება ისტორიის მკაცრი, მაგრამ ამასთან გმირული ფურცლები, როცა მძიმე გაჭირვების ჟამს ჩვენი ხალხები ერთად იყვნენ, ჩვენი სახელმწიფოები მოკავშირენი იყვნენ.

საბჭოთა და ფრანგმა ხალხებმა კარგად იციან, თუ რა მოაქვს ომს, და შეუძლიათ ნამდვილად დაიფასონ მშვიდობა. ჩვენი დღევანდელი თანამშრომლობა საერთაშორისო ასპარეზზე — ეს არის თანამშრომლობა მშვიდობის საკეთილდღეოდ, მშვიდობის ასპარეზზე, ეს არის წვლილი ახალი კონფლიქტებისა და ომების თავიდან აცილების საქმეში.

საბჭოთა კავშირი დაბეჯითებით იღგაწის ამისათვის, რომ ხალხთა მშვიდობა და უშიშროება განმტკიცდეს ევროპაშიც და აზიაშიც, ყველა კონტინენტზე. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ სსრ კავშირი და საფრანგეთი ერთად იყვნენ ამ მაღალი მიზნების მიღწევაში.

ა. ი. ზვერევის, ჟ. პომპიდუსა და ნ. ვ. პოდგორნის სიტყვებს დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

საღილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მსოფლიო ეხმაურება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას

ყურადღების ცენტრში

კაირო. 9 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს კაიროს პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას.

„ამერიკის შეერთებული შტატები და ისრაელი აგებენ პასუხს გუნარ იარინგის მისიის სიძნელეებისათვის“, — წერს სათაურში პირველ გვერდზე გაზეთი „ალ-აჰბარი“, და აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირი კვლავ დაბეჯითებით მოითხოვს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესრულებას“.

დამასკო. 9 ოქტომბერი. (საკდესი). სირიის პრესა, რადიო და ტელევიზია ფართოდ აშუქებენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელს აკისრებს პასუხისმგებლობას ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის გაძლიერებისათვის. განცხადების შინაარსი გამოაქვეყნეს დღეს ცენტრალურმა გაზეთებმა „ეს-საურამ“ და „ალ-ბაასმ“.

პარიზი. 9 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებამ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის გამო ფრანგული პრესის დიდი ყურადღება მიიპყრო.

პარიზის საღამოს გაზეთი „ფრანს-სუარი“ ბაზს უსვამს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავაც ყოველნაირად შეუწყობს ხელს ახლო აღმოსავლეთის პრობლემების პოლიტიკურ მოწესრიგებას.

ლონდონი. 9 ოქტომბერი. (საკდესი). ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთები. რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში თვალსაჩინო ადგილს უთმობდნენ ამერიკელთა და ისრაელთა მონაჭორებს, „თიქოს სუეცის არხის ზონაში საბჭოთა სახელმტო დანადგარები და მათი მომსახურე პერსონალი შეემჩნიოთ, დღეს არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ფაქტიურად აჩუმათებენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, რომელიც უარყოფს ამ ინსინუაციებს როგორც ამკარა ფალსიფიკაციას.

რომი. 9 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა“ ბეჭდავს ცნობას სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების შესახებ და ხაზს უსვამს განცხადების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ „საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვდა და მოითხოვს ახლო აღმოსავლეთის პრობლემების პოლიტიკურ მოწესრიგებას უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულების საფუძველზე მის ყველა ნაწილში“.

ფაქტები

მ. რაიმანის გამოსვლა

● **ბონი.** 9 ოქტომბერი. (საკდესი)). ბილეფელდში (რურის ოლქი) გამართულ მიტინგზე გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მაქს რაიმანმა განაცხადა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის ხელშეკრულება ხელსაყრელია ყველასათვის, რადგან იგი ემსახურება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

ბოლივიის ახალი მთავრობა

● **ლა-პასი.** 10 ოქტომბერი. (საკდესი). ბოლივიის პრეზიდენტმა გენერალმა ხუან ხოსე ტორესმა შექმნა ახალი მთავრობა. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა გენერალი ემილიო მოლინა პასარო, შინაგან საქმეთა მინისტრად — ხორხე გალიარდო ლოსადა.

წინა მთავრობის შემადგენლობიდან თავიანთ პოსტებზე დარჩნენ თავდაცვის მინისტრი გენერალი დავიდ ფუენტე სოტო, ფინანსთა მინისტრი ანტონიო სანჩეს დე ლოსადა, ტრანსპორტის მინისტრი გენერალი ხაიმე პას სოლდან პოლი. ახალ მთავრობაში შრომის მინისტრი გახდა ბოლივიის მუშათა ცენტრის წარმომადგენელი აბელ აიორნა.

რესპუბლიკელთა დემაგოგია

● **ნიუ-იორკი.** 9 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გუს ჰოლმა პრეზიდენტ რ. ნიქსონის სიტყვა რადიოთი და ტელევიზიით დაახასიათა, როგორც „რესპუბლიკელთა წინასაარჩევნო დემაგოგია“ და ცდა შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მთავრობა მართლაც ესწრაფვოდეს მშვიდობას.

სასამართლოს გადაწყვეტილება

● **მოგადიშო.** 9 ოქტომბერი. (საკდესი). სომალის ეროვნული უშიშროების სასამართლომ დღეს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა ყოფილ პოლიციელს ხაიდ იუსუფ ისმაილს, რომელმაც შაბნან 15 ოქტომბერს მოკლა სომალის რესპუბლიკის პრეზიდენტი შერმარკი. ამას იუწყება სონნის საგენტო.

„კომუნისტის“ კოლეგიური რუკა

სახელმწიფო 322 კუნძულზე

გუიენი ფიჯის კუნძულები დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. დედაქალაქში დიდი ბრიტანეთის დროშის ნაცვლად ეროვნული დროშა ფრიალდა. თითქმის ასი წელიწადი (1874 წლის 10 ოქტომბრიდან) ფიჯის კუნძულები ინგლისის კოლონია იყო. და აი საუკუნოვან ბატონობას ბოლო მოეღო. კოლონიური ადმინისტრაცია წარმომადგენელთა პალატამ შეცვალა, პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა რატუ მარუმ.

ფიჯის კუნძულებს მართალია ჯერ დომინიონის სტატუსი ექნება და ამდენად ბრიტანეთს ერთა თანამეგობრობაში წევრად დარჩება, მაგრამ, როგორც მმართველი და ოპოზიციის პარტიის ლიდერები აცხადებენ, ეს მხოლოდ გარდამავალი სფეხური ოქნება სრული თვითუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. ახალგაზრდა სახელმწიფოს ლიდერებს დიდი დამოკლებების გადალახვა მოუხდებათ ამ გზაზე. ისტორია გვასწავლის, რომ დიდ ბრიტანეთს ნებაყოფლობით არასოდეს არაფერი არ დაუთმია.

რას წარმოადგენს ოკეანის ეს ახალი სახელმწიფო? კუნძულები ჰოლანდიელმა ზღვაოსანმა ა. ტასმანმა აღმოაჩინა 1643 წელს. ეს არის 322 დიდი, პატარა და პაწაწკინტელი კუნძულების ჯგუფი. მოსახლეობა მხოლოდ ასამდე კუნძულზე ცხოვრობს, კუნძულების საერთო ფართობი 18,2 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობის რაოდენობა სხვადასხვა მონაცემებით 480 ათასსა და 510 ათასს შორის მერყეობს, დედაქალაქია სუვა, რომელიც არქიპელაგის უდიდეს კუნძულ ვიტლევუზე მდებარეობს.

კუნძულები როგორც მიაჩნიათ, უმეტესი მატერიკის ნარჩენების წარმოადგენენ, ჰავა ტროპიკულია. კუნძულების მკვიდრ მოსახლეობას ფიჯიელები შეადგენენ, საკმაო რაოდენობით არიან ინდოელები, ცხოვრობენ აგრეთვე ევროპელები, პოლონეზიელები, ჩინელები და მეტისები. ოფიციალური რელიგია ქრისტიანობა და ინდუიზმია, ოფიციალურად არის შეზავებული ანიმისტური წარმოდგენებით.

მოსახლეობის მთავარ საქმიანობას მიწათმოქმედება შეადგენს, რომლის მთავარი დარგი ბაქრის ლეროწმის მოყვანა და დამუშავებაა. კუნძულზე მოჰყავთ ქოქოსის პალმა, ბანანი, კაკაო, ყავა, ციტრუსები, ტბილი კარტოფილი, ბრინჯი. მრეწველობა წარმოდგენილია წვრილი საწარმოებით, რომლებიც უმთავრესად შაქრის ლეროწამს ამუშავებენ.

ბრიტანეთის კოლონიალიზმის დეპეში „გათიშე და იბატონე“ აქაც მოქმედებდა. ინგლისელები ხელოვნურად აღვივებდნენ ეროვნულ შუღლს ფიჯიელებსა და ინდოელებს შორის (ეს უკანასკნელნი ბაქრის ლეროწმის პლანტაციებზე ჩამოყვანილი ინდოელი მონების შთამომავლები არიან). ახლა ორივე ჯგუფის ლიდერები შეთანხმდნენ ფიჯის კუნძულების საერთო ინტერესების წინაშე.

მაგრამ ფიჯი კვლავ რჩება საბოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზად. მისდამი გარკვეული ინტერესისს იჩენენ ახალი ზელანდია და ავსტრალია. ავსტრალია ერთობ მომძლავრდა ამ უკანასკნელ ხანს, და ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ფიჯის ეკონომიკის 75 პროცენტი მის კონტროლქვეშ იმყოფება.

ფიჯის კუნძულებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს ეროვნულ თავისუფლებას, მომავალი გვიჩვენებს.

ო. ლორთქიფანიძე.

პენტაგონის ზეგავლენით

ვაშინგტონი. 10 ოქტომბერი. (ხაკდეხი). ზმერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ოკლავ დაუთმო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ზეგავლენას და პენტაგონის საჭიროებისათვის მიმდინარე საფინანსო წელს გამოყო ასტრონომიული თანხა — 66,7 მილიარდი დოლარი. კანონპროექტი სამხედრო ასიგნების შესახებ, რომელიც ადრე მოიწონა პალატის ასიგნებათა კომისიამ, წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა 274 ხმის უმრავლესობით. წინააღმდეგ იყო 81 დეპუტატი.

ჰროცესი შეწყვიტეს

ფლინსბურგი. 10 ოქტომბერი. (საკდესის კორესპონდენტი ვ. სერვრი გვატყობინებს: გაურკვეველი დროით შეწყვიტეს პროცესი, რომელიც აქ დაიწყო გერმანიის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის კონფისკაციის საქმის გამო. გერმანიის კომპარტიის ლეგალიზაციისათვის მებრძოლმა საინიციატივო კომიტეტმა საკონსტიტუციო წარდგინა იმისი მრავალრიცხოვანი დამამტკიცებელი საუბუთები, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის კონფისკაცია უკანონო იყო.

ბრალდების წარმომადგენლებმა, რომლებმაც აშკარად იგრძნეს თავიანთი პოზიციების მერყეობა, უარი განაცხადეს პროცესში მონაწილეობაზე და დატოვეს სასამართლო დარბაზი.

ვიეტნამელი ხალხის ნათელი პოზიცია

9 ოქტომბერს მოსკოვში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოში გაიმართა პრეს-კონფერენცია.

პრეს-კონფერენცია გახსნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ნგუენ თხო ტიანმა, რომელმაც სიტყვა მისცა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში დანგ კუანგ მინს. დანგ კუანგ მინმა ჩამოაყალიბა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეთანხმებული თვალსაზრისი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის 7 ოქტომბრის გამოსვლის გამო.

დანგ კუანგ მინმა აღნიშნა, რომ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის მეთაურმა პარიზის თათბირზე, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნგუენ თხი ბინმა 8 ოქტომბერს წინასწარ გაუგზავნა ანაპოლში ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია რ. ნიქსონის სიტყვაში. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადებასთან დაკავშირებით, თქვა ელჩმა, გაკეთებულ იქნება დამატებითი შენიშვნები.

ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თავისი წინადადებანი წამოაყენა საზოგადოებრივის ზეგავლენით და ისინი ემსახურება უწინარეს ყოვლისა გარკვეული მიზნებს, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ არჩევნებთან, რომელიც 3 ნოემბერს ჩაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საკუთარი ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლის მიზანია გაგრძელდეს საომარი ვიეტნამის ოკუპაცია ამერიკის ჯარების მიერ, ხელისუფლების სათავეში დარჩეს თხიუ-კის ხროვა.

თავის გამოსვლაში, აღნიშნა ელჩმა, ამერიკის შეერთებული შტატების ბრეზნევის ბ. ნიქსონის არ გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება და არ გაუცია სერიოზული პასუხი სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დიპლომატიურ ინიციატივებზე.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩმა აღნიშნა, რომ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, სხვა მომმე პარტიები, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები მხარს უჭერენ ვიეტნამელ ხალხსა და მის სამართლიან ბრძოლას.

ამასთან დაკავშირებით ელჩმა თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავთან დაკავშირებით ბაქოში წარმოთქმულ სიტყვაში მხარი დაუჭერა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ახალ დიპლომატიურ ინიციატივას. ჩვენი ქვეყნის ხალხის სახელით, განაცხადა ელჩმა, გულწრფელ მადლობას გუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს მათი ენერგიული მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ნგუენ თხო ტიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ამერიკის პროპაგანდამ დიდი აურა-ზაური აგება ნიქსონის გამოსვლის გამო. ამერიკის პროპაგანდა ამტკიცებს, თითქოს ეს განცხადება ეხმიდოდეს ვიეტნამის პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს. მაგრამ თუ ამ განცხადებებს გაარსს შემოვაცილთ, გამოჩნდება მისი არსი, რომელიც ამოიწურება იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ თავიანთ აგრესიულ პოლიტიკას.

ვიეტნამელი ხალხის პოზიცია ნათელია: იგი არ შეწყვიტს ბრძოლას, სანამ ჩვენს მიწა-წყალზე თუნდაც ერთი აგრესორი დარჩება. ეს არის მთელი ვიეტნამელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება. ნურავის ნუ ეგონება ილუზიები ვიეტნამელი ხალხის ამ გადაწყვეტილების გამო!

დასასრულ ნგუენ თხო ტიანმა და დანგ კუანგ მინმა უპასუხეს კორესპონდენტთა შეკითხვებს. (საკდესი).

კენტაგონის ზეგავლენით

ვაშინგტონი. 10 ოქტომბერი. (ხაკდეხი). ზმერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ოკლავ დაუთმო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ზეგავლენას და პენტაგონის საჭიროებისათვის მიმდინარე საფინანსო წელს გამოყო ასტრონომიული თანხა — 66,7 მილიარდი დოლარი. კანონპროექტი სამხედრო ასიგნების შესახებ, რომელიც ადრე მოიწონა პალატის ასიგნებათა კომისიამ, წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა 274 ხმის უმრავლესობით. წინააღმდეგ იყო 81 დეპუტატი.

ჰროცესი შეწყვიტეს

ფლინსბურგი. 10 ოქტომბერი. (საკდესის კორესპონდენტი ვ. სერვრი გვატყობინებს: გაურკვეველი დროით შეწყვიტეს პროცესი, რომელიც აქ დაიწყო გერმანიის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის კონფისკაციის საქმის გამო. გერმანიის კომპარტიის ლეგალიზაციისათვის მებრძოლმა საინიციატივო კომიტეტმა საკონსტიტუციო წარდგინა იმისი მრავალრიცხოვანი დამამტკიცებელი საუბუთები, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის კონფისკაცია უკანონო იყო.

ბრალდების წარმომადგენლებმა, რომლებმაც აშკარად იგრძნეს თავიანთ პოზიციების მერყეობა, უარი განაცხადეს პროცესში მონაწილეობაზე და დატოვეს სასამართლო დარბაზი.

სპენის ბუჩქვით

ოგორც ვიუწყებოდით, კაპერბურთ „თავისუფალი ცხოვრების“ ეკიპაჟი ატლანტის ოკეანეში დაიკარგა დწ მის გადასარჩენად გაგზავნილი მაუფალი ძალები ხანგრძლივი და უშედეგო ძებნის შემდეგ უკან დაბრუნდნ. ჩვენი გაზეთის მკითხველებმა შეიკითხვიდით მოგვკვართეს: მეთ აინტერესებთ დაწვრილებით მოვუთხროთ, თუ როგორ დამთავრდა ეს საგმირო ეკიპაჟ.

ვასრულებთ მკითხველთა თხოვნას და ვგზავნით ამ საკითხზე კორესპონდენციას.

ქენის მეათე „ლეს სანაპირო დაცვის კატარღებს ბრძანება მიეცათ „ბაზაში დაბრუნებულიყვნენ: „თავისუფალი ცხოვრების“ შემდგომი ძებნა უსარგებლოდ ჩქნა მიჩნეული. იმ ადამიანთა ხიას, რომლებიც ჩრდილოეთ ატლანტიკასთან ბრძოლაში დაიღუპნენ, კიდევ სამი სახელი მიემატა.

სხვა დროს ჰაერნოსანთა უზომოდ გაბედული ჩანაფიქრი და ტრაგიკული დაღუპვა თითქმის ნახევარ მსოფლიოს სულს გაანაბეინებდა. სექტემბრის დამლევს ნიუფაუნდლენდის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოკეანეში მომხდარი დრამა კი საშუალო ახალი ამბების რიცხვს მიეკუთვნეს.

ნახევარ საუკუნეზე მეტმა განვლო იმ დროიდან, როცა ჰაერზე მძიმე და მხუბუქი საფრენი აპარატები ერთმანეთს ეკიბრებოდნენ ცაში. ორთაბრძოლა დამჯერებლად მოიგეს თვითმფრინავების კონსტრუქტორებმა და მხოლოდ ხულ უკანასკნელ წლებში ქვლავ დაიწყო გამოცოცლება ჰაერბურთების, დირიჟაბლების, ციუელინებისა და მონგოლფიერებისადმი ინტერესმა. აერონავტიკის ამ შტოს განვითარებაში გაჯიანურებულ ჰაუსას მოწმობს რეკორდების თავდავთრის ასეთი სტრიქონი: ყველაზე შორი გაფრენა ჰაერბურთით უდრის 8.052,7 კილომეტრს და იგი შესრულებულია 1914 წლის 8-10 თებერვალს.

ამ რეკორდის გადალახვაზე ოცნებობდა ახალგაზრდა ინგლისელი აერონავტი **მაკკოლმ ბრაბიტონი.** მაგრამ მას არცა ჰქონია იმედი როდისმე მოეგროვებინა საკმაო ფული, რომ ასეთი წამოწყებისათვის შესაფერი აპარატი აეგო.

ოთხი თვის წინათ ბრაბიტონმა გაიმარჯვა ჰაერნოსანთა XXV საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ჰოლანდიაში გაიმართა. ამ ტრიუმფის ცოტა ხნის შემდეგ მას დაურეკეს ამერიკიდან, კენტუკის შტატიდან. ბირჟაზე მოსაქმე **როდ ანდერსონი** სთავაზობდა ბრაბიტონს ერთად გადაეფრინათ ჰაერბურთით ატლანტის ოკეანე. თვითონ ანდერსონი არ ყოფილა აერონავტი, თუმცა ერთხელ მთელ ნახევარ საათს იფრინა ჰაერბურთით. სამაგიეროდ მას ჰქონდა „თავისუფალი ცხოვრება“. ასე ეწოდებოდა ჰაერბურთს, რომელიც მას ანუქა სიმამრმა — რესტორნების მსხვილი კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა. „თავისუფალი ცხოვრება“ 60 ათასი დოლარი ღირდა. და ახლა ანდერსონები იმედოვნებდნენ ჭარბად ამოეგოთ ეს ფული, რისთვისაც გამოუყენებინათ რეკლამა ისტორიაში პირველი მოგზაურობისა ატლანტიკაზე ჰაერბურთით.

ცოლ-ქმარმა ანდერსონებმა ბრაიტონთან დადეს კონტრაქტი, რომლის თანახმად ისინი მას გადაუხდიდნენ საგზაო ხარჯებს, აგრეთვე მისცემდნენ ოცდაათ პროცენტს შესაძლო შემოსავლისას, რომელიც გადააჭარბებდა პირველ ასი ათას დოლარს, რასაც ანდერსონები მთლიანად თვითონ იიღებდნენ. გარდა ამისა, ანდერსონებმა ვალდებულება იკისრეს ათი ათას დოლარად დაეზღვიათ თავიანთი პილოტის სიცოცხლე.

ბრაიტონის კოლეგები ამ კონტაქტს მძარცველურს უწოდებენ, მაგრამ, მათი სიტყვით, ჰაერნოსანი მზად იყო მუქთადაც კი ემართა ჰაერბურთი. ბრაიტონი მოითხოვდა მხოლოდ ერთ რამეს, გონდოლაში გამოცდილი ნავიგატორი უნდა იყოს. ვინაიდან თვითონ მე ტურმანის საქმის მხოლოდ ანბანსა ვიცი. მაგრამ სტარტამდე ორი დღით ადრე მამარესტორატორმა, რომელიც წამოწყებას აფინანსებდა, კატეგორიულად მოითხოვა, რომ ფრენაში მონაწილეობა მიეღო მის ქალიშვილს ჰამელას, დამწყებ მსახიობს. ბრაიტონს არაფერი ალარ დარჩენოდა — უძნელეს ფრენაში უნდა წასულიყო და თან ბალასტად მყოლოდა ორი მგზავრი.

თავიანი ის გადაწყვეტილება, რომ აუცილებლად გაფრენილიყო, მან არ შეცვალა სტარტის წინადღესაც, როცა ერთბაშად გამოირკვა სამი საკალლო გარემოება: ამინდის პროგნოზნი ჩრდილოეთ ატლანტიკისათვის განსაკუთრებით არახელსაყრელი იყო; ჰაერბურთის გარსაცმის ქვიდა ნაწილში დიდი ნახევი აღმოჩნდა; გატყდა ჰაერბურთის გარეთა კამერაში ჰაერის შესათბობი პროთანის სანთურის ფრქვევანა (ძირითადი, შიდა კამერა ავსებული იყო ორი ათასი კუბური მეტრი ჰელიუმით).

ბრაიტონს არაერთხელ უთქვამს თავისი მეგობრებისათვის, რომ ევროპამდე მიღწევის იმედი პრაქტიკულად არ ჰქონია, მაგრამ თავისი სიცოცხლისა და მგზავრების სიცოცხლისათვის ხრიოლებით არ შიშობდა: გონდოლაში ყველაფერია იმისათვის, რომ ოკეანეში ჩავარდნისას გადავრჩეთო.

20 სექტემბერს ნიუ-ჯერსში სასტარტო მოედანზე სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი შეიქრა და ოკეანის თავზე გაკვრილა უზარმაზარი, რვასართულიანი სახლის ოდენა ნარინჯისფერი ჰაერბურთი. თუ არაფერი არ მოხდებოდა, ჰაერბურთი 4.800 კილომეტრს გაიფრენდა და ხუთ დღეში უნდა დაშვებულიყო სადმე ინგლისში ან საფრანგეთში.

მაგრამ... სტარტიდან ოცდაათი საათის შემდეგ, როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო, „თავისუფალი ცხოვრება“ ცივი ჰაერის ფრონტს შეხვდა. გარსში შემთბარი ჰაერის დასაშვერხნავმა დანადგარმა, როგორც მოსალოდნელი იყო, უმტყუნა, ჰაერბურთმა სიმაღლის დაკარგვა იწყო. ბრაიტონმა რადიოთი გადმოსცა: „ეჭვსახი ფუტის სიმაღლეზე ვართ, ვვარდებით. კვლავ გამოგიძახებთ, როცა წყალზე დავეშვებით.“

ალარ გამოუძახებიათ.

როცა გაჩაღებული იყო ძებნა, სიტყვა ითხოვა „თავისუფალი ცხოვრების“ ყოფილმა პილოტმა ჯიმ კონტროსმა, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა აერონავტმა. მან განაცხადა, რომ თავის დროზე უარი თქვა ანდერსონების წინადადებაზე გადაეფრინა ატლანტიკა, ვინაიდან მას უარი უთხრეს იმაზე, რომ გაეკეთებინა რამდ

ᲬᲣᲢᲐ ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲓᲐᲜ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

თბილისში უკვე გაყვითლდნენ ხენი,
კახეთში უკვე ბობოქრობს რთველი
და შემოდგომის უსიტყვო ენით
მესაუბრება ქვეყანა მთელი.

სიუხვე მიწის —სიმშვიდე კაცთა
აწყდება კარებს, ვითარცა მეკვლე.
მიპყრობს სიმწიფის მზიანი განცდა
და საოცნებო ზარები რეკენ.

ამ გუგუნს ხარბად იტაცებს მტკვარი,
მყის, როგორც ტალღას, უბეში იხვევს,
საბურთალოზე ტრიალებს ქარი
და ისევ ადგას მზე შურისციხეს.

ბექობზე მოჩანს ლამაზი ხელი
ქართველის დედის და მეუფის დიდის,
ჩემს წინ ხმაურობს ვარაზისხევი,
თითქოს მის მკერდში ენგური მიდის.

დედაქალაქში გაყვითლდნენ ხენი,
გაღმა-გამოღმა ბობოქრობს რთველი
და ამ დროს, სავსე სიცოცხლის რწმენით,
ᲗᲐᲛᲗᲐᲠᲡ ᲙᲘ არა, გაზაფხულს ველი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲝᲑᲔᲠᲰᲝᲤᲘ

სცენაზე იდგა ქართველი ქალი,
მოშავგვრემანო და მზედაკრული.
უცებ შორიდან, უხილავ ძალით,
ამოკიაფდნენ მთები ბაკურის.

მაინცდამაინც რად მომაგონდა
ან თვალწინ რატომ დამიდგა, ნეტავ,
ბაკურიანი და კოხტა გორა,
და არა ვანი, და არა მცხეთა;

და არა ონი, და არა ზანა —
სიმინდის ყანა ან ღობე სოფლის?
იქნებ იმიტომ, რომ ტყუპებს ᲰᲒᲒᲐᲜᲐᲜ
ბაკურიანი და ობერჰოფი!

ᲐᲛ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲐ ᲮᲐᲜᲘ,
ᲮᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲔᲡᲛᲐ ᲐᲛᲝ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ:
ᲩᲘᲢᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲒᲐᲚᲝᲑᲓᲐ ᲜᲐᲜᲘ,
ᲜᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲒᲐᲚᲝᲑᲓᲐ ᲩᲘᲢᲘ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲣᲕᲚᲘᲓᲜᲔᲜ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ
ᲓᲐ ᲘᲠᲧᲔᲝᲓᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲭᲔᲠᲘ.
...ᲢᲝᲣᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲗᲐ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲡ
ᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚ ᲬᲜᲐᲕᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ.

ᲖᲔᲓᲐᲖᲔᲜᲘ

ᲯᲔᲠ ᲖᲔᲒᲐᲡᲐ ᲰᲒᲐᲕᲓᲐ ᲜᲘᲡᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ,
რომელიც ᲔᲯᲠᲐ ᲖᲔᲓᲐᲖᲔᲜᲡ მაშინ.
მერე შეირხა ᲚᲣᲠᲯᲘ ᲭᲡᲝᲤᲔᲚᲘ
და წარიტაცა ნიავმა ცაში.

თითქოს უეცრად ზღვამ დაიწია
და მზემ დაიპყრო ადგილი მისი,
სხივების ღვარმა ისე იწვიმა,
რომ არ დატოვა ნასახი ნისლის.

იდგა დუმილი მიწიდან ცამდის
და როცა თვალში ცრემლმა იელვა,
იმ კეთილ ქართველს შევწირე მადლი,
აქ რომ მცხეთელებს უხმო პირველად!

ᲜᲐᲠᲜᲔᲠᲐ ᲙᲝᲡᲢᲐ ᲡᲔᲗᲐᲒᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ

გმირი, პოეტი, გულთამხილველი,
ოსური ქნარის სუნთქვა პირველი,
გვიზიარებდა, რაცა სტკიოდა,
ძმას ქართველისას რაც ახარებდა.
იდგა მშობლიურ კავკასიონთან
და თავის მამაც ხალხს გვაყვარებდა.

დიდი მომავლის მაუწყებელი,
მასწავლებელი და სჯულმდებელი,
თერგივით ფიცხი და საოცარი,
როცა საყვედურს უთვლიდა ᲖᲔᲜᲐᲡ,
ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲣᲑᲛᲝᲑᲓᲐ, როგორც მოძღვარი:
— ᲜᲣ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲔᲗᲑᲗ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲘᲡ ᲔᲜᲐᲡ!

ᲬᲘᲗᲐᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲗ



ᲔᲭᲕᲔᲠᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲘ

„ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ“ — ასეთი ორგანალური სათაური აქვს **კონსტანტინე ლორთქიფანიძის** ახალ წიგნს რომელიც სულ რამდენიმე დღეა გზადალოცვილი დაემშვიდობა სტამბას და ფართო მკითხველი საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოვიდა (გამომცემლობა „მერანი“. რედაქტორი ვ. ძიძიგური, მხატვრები ო. ჯიშკარიანი და თ. მირზაშვილი),

„ᲐᲛ ᲬᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲨᲐᲠᲨᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲠᲐ, — გვეუბნება ავტორი წინათქმაში. — **ეს არის ჩემი ერთი წელიწადი. რაც საოქმელი მქონდა, ᲨᲔᲜᲘ რამ მოთხრობას მივანდე, ᲨᲔᲜᲘ ლექსად ითქვა, ᲨᲔᲜᲘᲛᲐᲪ წერილის ფორმა მოითხოვა. იაპონური ტანკებიც გასულ წელს ᲩᲕᲝᲐᲠᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ**“.

ამ პატარა წიგნში მწერალი ჩვენს წინაშე წარმოსდგება როგორც მრავალმხრივი შემოქმედი, ჩვენი თანამედროვეობის მორთალი მემატიანე, ჩვენი საზოგადოების აქტიური მშენებელი.

წიგნის ფურცლებზე, კვლავ შეხვდებით გმირებს, რომლებიც დიდი ხანი არ არის, რაც გაიცანით და თქვენი ცხოვრების მეგობრებად დასახეთ.

პირველი განყოფილება ეთმობა ბელეტრისტიკას. აქ წარმოდგენილია მოთხრობები „გაუმარჯოს დონკიხოტს“, რომელმაც ეურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებისთანავე მიიქცია მკითხველის ყურადღება და ფართო საზოგადოებრივი სჯა-ბაასის საგანი გახდა, აგრეთვე „ᲩᲘᲛᲘ პირველი კომკავშირული“ (ავტობიოგრაფიული მოთხრობა) და „ორთაჭალელი მეთევზეები“ (ციკლიდან „ᲩᲘᲛᲘᲗ ᲒᲐᲘᲐᲜᲘ“).

წიგნში დაბეჭდილი ხუთიოდე ლექსითაც კი შეიძლება კონსტანტინე ლორთქიფანიძე დავახასიათოთ როგორც პოეტური სიტყვის დახვეწილი ოსტატი, ფაქიზი ლირიკოსი და ღრმად მოაზროვნე შემოქმედი.

ფრიად საყურადღებოა პუბლიცისტური წერილი „სიყვარულმა მათქმევინა“, რომელშიც განხილულია ჩვენი ცხოვრების სოფლისა თუ ქალაქის ყოფის რამდენიმე საჭირბოროტო საკითხი, კარგად ჩანს თანამედროვეობის დაკვირვებული თვალით ხედვა და მისი გაუმჯობესებისათვის კეთილშობილური ზრუნვა, შრომა-ლიური კულტურის დიდი სიყვარულით ირის აღსავსე წერილი „სტეფა თედო რაზიკაშვილზე“,

ტანკა-ხუთსტრიქონიანი, ურითმო ლექსი იაპონური პოეზიის კლასიკური ნიმუშია, ხოლო ოსიკავა ტაკუბოკუ (1885-1912 წწ.) მისი აღიარებული დიდოსტატი...

„ᲔᲠᲗᲘᲡᲮᲔᲚᲘ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲘᲗ
ᲓᲘᲓᲐᲩᲔᲛᲘ
ᲛᲮᲐᲠᲖᲔ ᲨᲔᲕᲘᲜᲘᲗᲘ,
ᲘᲒᲘ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲛᲘᲡᲣᲗᲣᲤᲘ ᲘᲧᲝ,
ᲠᲝᲛᲘᲠᲘᲪᲐ ᲣᲪᲐᲓ ᲪᲠᲔᲛᲚᲘ
ᲓᲐ ᲕᲘᲓᲔᲠ ᲕᲮᲘᲓᲘ“.

ᲘᲡ ᲢᲐᲙᲣᲑᲝᲙᲣᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲐᲠᲘᲖᲣᲚᲘᲡ ᲒᲠᲫᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲗᲑᲐᲠᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲚᲘᲡᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲨᲘ.

ᲬᲘᲗᲐᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ



ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲡ ᲛᲘᲔᲫᲚᲕᲜᲐ

„ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲓᲦᲔ—ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ“

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲓᲦᲔ — რუსთაველის დღეს მიეძღვნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ერთდროული გაზეთი, რომელიც გამომცემლობა „მერანმა“ გამოუშვა (რედაქტორი კარლო კალაძე).

პირველ გვერდზე მკითხველი გაეცნობა გ. ნატროშვილის წერილს — „ᲚᲔᲥᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“. აქვე დაბეჭდილია გ. ჯიბლაძის — „ᲝᲓᲐ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ და გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების — საქართველოს სსრ გათლოების მინისტრის თ. ლაშქარაშვილის, სოციალისტური შრომის გმირის აკადემიკოს კ. ერისთავის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ა. ვასაძის, სსრ კავშირის სახალხო ᲛᲮᲐᲢᲠᲘᲡ უ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ, კინორეჟისორ რ. ჩხეიძის მისალმებანი ქართული ლექსის დღესასწაულისადმი.

მკითხველი ინტერესით წაიკითხავს ვ. მაჭავარიანის წერილს „ᲪᲘᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲒ“, რომელიც პოეზიის უკვდავებას ეძღვნება, შ. ᲡᲚᲝᲜᲘᲡ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲠᲣᲚ ᲡᲐᲣᲪᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, **აკადემიკოს ა. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ — „ᲐᲣᲓᲔᲜᲔᲚᲘ ᲝᲘᲚᲔᲑᲘᲡ“**, Გ. ᲑᲐᲘᲐᲫᲘᲡ „ᲨᲔᲠᲘᲓᲐᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ“, Გ. ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲑᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲢᲠᲜᲐᲚᲘᲡ“ და მისი ორი ლექსის თარგმანს. აქვე დაბეჭდილია კრიტიკოს ბ. ᲫᲔᲠᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲝᲑᲘᲗᲘ — „ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲔᲞᲝᲮᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, რ. ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡ — „ᲩᲔᲛᲡ ᲗᲝᲚ-ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ“.

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ



ᲝᲗᲘᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲓᲘᲓᲘᲜᲐᲠᲛ ᲩᲥᲔᲠᲘᲡᲬᲧᲐᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲚᲘᲚᲝᲤᲠᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲚᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲝᲗᲐᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲡ-ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲕᲙᲝᲡ, ᲘᲥᲕᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲕᲚᲔᲑᲐ. ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲮᲕᲔᲠᲝᲓ ᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘᲐ, ᲡᲐᲜᲐᲮᲕᲔᲠᲝᲓ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ. ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲨᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲡᲕᲚᲔᲑᲐ. ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲮᲕᲔᲠᲝᲓ ᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘᲐ, ᲡᲐᲜᲐᲮᲕᲔᲠᲝᲓ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ. ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲨᲘ. ᲛᲔᲠᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲥᲣᲩᲐᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲘᲗ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲛᲔᲠᲘᲡᲐᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲣᲜᲐᲮᲐᲕ

თეატრის საიუბილეო ზეიმი

ჭიათურა. (საკ. კორ.). გუშინ ქალაქის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ჭიათურის სახელმწიფო თეატრის 75 წლისთავი. საზეიმო სხდომა გაიმართა თეატრის შენობაში.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. კუპრავამ. მოხსენებით— „ჭიათურის თეატრის 75 წლისთავი" — გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ეღენტი.

საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახელით თეატრის კოლექტივს მიესალმა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. აბესაძე. თეატრ იუბილარს მიესალმნენ აგრეთვე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა.ა. ვასაძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ საბალხო არტისტი დ. ანთაძე, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, მახარაძის, ზუგდიდის თეატრების, ჭიათურის, საჩხერის მშრომელთა წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ლელაშვილმა თეატრის კოლექტივს მიულოცა საიუბილეო თარიღი და თეატრს გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სგელი.

იუბილარი თეატრის კოლექტივის სახელით გამოვიდნენ თეატრის დირექტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი ა. კინთელაძე და თეატრის მთავარი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი ო. ალექსიშვილი.



ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ჩაის კრეფის სეზონი. სახელოვნად იშრომეს წელს ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა მეჩაიეებმა — ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ნედლეული მიაწოდეს ფაბრიკებს. ჯერ კიდევ ისმის პლანტაციებში მანქანების გუგუნი — აი ახლაც მწყობრად მიემართებიან ისინი სამუშაოდ. მალე კი დასასვენებლად დადგებიან, რათა მომავალ სეზონში კვლავ სიხარულ დილიდან დალამებამდე დაუღალავად იშრომონ მანქანებმა, რომლებსაც ამაყად აწერია — „საქართველო".

ფოტო ი. დავითაშვილისა და ს. თამზაძისა (საქდღის ფოტოქრონიკა).

ინგლისური ჟურნალი ქართველი ფილოსოფოსის წიგნის შესახებ

ოქსფორდის უნივერსიტეტის ჟურნალმა „სოვიეტ სტადიმ" გამოაქვეყნა რეცენზია ქართველი ფილოსოფოსის პროფესორ ა. ბრეგაძეშვილის წიგნის „თანამედროვე ინგლისური ლინგვისტური ფილოსოფია" (რუსულ ენაზე) შესახებ. რეცენზიაში აღნიშნულია: „ეს წიგნი უკანასკნელია ბ-ნ ბეგიანაშვილის იმ მრავალ ნაშრომთაგან, რომლებიც მან მიუძღვნა თანამედროვე ბრიტანულ ფილოსოფიას. ამ დარგში იგი ალბათ წამყვანი საბჭოთა ავტორიტეტია. თავის წინა წიგნში („ანალიზის მეთოდი თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში" თბილისი, 1960) მან დიდი ადგილი დაუთმო რასელსა და ვიტგენშტეინს, ხოლო ამჟამად განიხილავს ინგლისური ფილოსოფიის განვითარებას 1950-იანი წლების ბოლომდე".

რეცენზიის დასასრულს ნათქვამია: „ამრიგად, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ავტორის შენიშვნები აიძულებენ ლინგვისტურ ფილოსოფოსებს მიატოვონ თავიანთი გზა, მაგრამ იგი მათს არგუმენტებს ნათლად ალაგებს, და ბევრი კრიტიკული შენიშვნა, რომელსაც იგი აკეთებს, შეიძლება მათთვის მისაღები იყოს. წიგნი საყურადღებოა იმიტომაც, რომ საფუძვლიანად აყენებს ეჭვქვეშ ყველა ჩვენი ფილოსოფოსის მეთოდს".

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ, ᲭᲝᲙᲔᲘ, ᲤᲔᲓᲠᲘᲙᲘ

ფინალში—ძველი მეტოქენი

კლუბ-ატამი დასასრულს უახლოვდება საკავშირო ჩემპიონატი ჩოგბურთში. უკვე გამოვლინდნენ ფინალის მონაწილენი. როგორც ვიცით, ისე ქალთა თანრიგში.

უძლიერესთა ოთხეულში ვერ მოხვდა თბილისელი თ. კაკულია. იგი შეუძლოდ იყო და კორტზე ავადმყოფი გამოვიდა. მიუხედავად ამისა, მონდომებით იბრძოდა, მაგრამ მატჩმა ხანგრძლივი ხასიათი მიიღო და კაკულიას ძალა ადარ ეყო. ვ. ეგოროვმა გაიმარჯვა — 6:2, 5:7, 7:9, 7:5, 6:0.

ნახევარფინალში სსრ კავშირის ჩემპიონს ა. მეტრეველს არ გასჭირვებია ვ. ეგოროვის დამარცხება. ბოლო ქვეყნის პირველმა ჩოკანმა მეღვალი კლასი აჩვენა და ადვილად გაიმარჯვა — 6:3, 6:1, 6:1. თ. ლეონოვსა ხუთი საათი დასჭირდა, თავისი უპირატესობა რომ დაემტკიცებინა მოსკოველ ა. ვოლკოვთან შეხვედრაში — 10:12, 6:4, 1:6, 6:3, 6:3.

ქალთა შორის ო. მოროზოვამ მოუგო ა. ერემეევას — 6:3, 7:5, ზ. იანსონემ — ე. ეზოპაიტისს.

ოქროს medlebisatvis ერთმანეთს შეხვდებიან ძველი მეტოქეები მეტრეველი და ლეონუსი, მოროზოვა და იანსონე.

თასი არმიელებს

ᲑᲣᲜᲘ მოსკოვში გაიმართა განმეორებითი ფინალური მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე შაიბიან ჰოკეიში. თამაშობდნენ ცსკა და „სპარტაკი". გაიმარჯვეს არმიელებმა — 8:5.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი შეხვედრა „სპარტაკმა" მოიგო (3:2), ბურთების უკეთესი შეფარდებით (10:6) თასი არმიელებს ხვდათ.

5 ტურის შემდეგ

ᲕᲘᲜᲘᲞᲔᲒᲘᲨᲘ (იუგოსლავია) გრძელდება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 8 გროსმაისტერი და ამდენივე ოსტატი მონაწილეობს.

5 ტურის შემდეგ 4 ქულით პირველ ადგილზეა გროსმაისტერი ვ. ჭორტა (ჩეხოსლოვაკია). 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს გროსმაისტერ მ. ტალიმანოვს (სსრ კავშირი). მოულოდნელი იყო მეხუთე ტურში შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის, დანიელ ლარსენის წაგება, მას 28-ე სვლაზე მოუგო გროსმაისტერმა ლ. საბომ (უნგრეთი).

სოჭში, შეკრებაზე

ხვალ სოჭში იწყება მსოფლიო პირველობის საშინაოთაშორისო ტურნირში მონაწილე საბჭოთა მოჭადრაკეების შეკრება.

ამ შეჯიბრებისათვის სოჭში ემზადებიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი (მოსკოვი), გროსმაისტერები ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი) და ვ. გელერი (მოსკოვი). შეკრებაზე არ არის მხოლოდ გროსმაისტერი მ. ტალიმანოვი (ლენინგრადი), რომელიც ახლა იუგოსლავიაში თამაშობს.

მიმინომ შეინავარდა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, გამარჯვების პარკში, საქართველოს მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმის ინიციატივით მოეწყო დამჭერ ფრინველთა მეორე რესპუბლიკური გამოფენა-შეჯიბრი. გამოფენა-შეჯიბრში მონაწილეობს საქართველოს 90 გამოცდილი ბაზიერი.

პუშინ მოეწყო გამოფენა, სადაც მიმინო, შეკლარდენი, ქორი, მარჯანი, თევლმავი და სხვა დამჭერი ფრინველები გასინჯეს გარეგნული შესახედაობისა და სამონადირეო თვისებების მიხედვით. ბაზიერებმა დამთვალიერებლებს უჩვენეს, თუ როგორ ხდება სანადირო ფრინველების დაჭერა ბადით, პატარა ჩიტის ლაპარაკით, ბატარა ჩიტის ლაპარაკით. შემდეგ მოეწყო საქნიერიდან მიმინოს ჩამოყვანა.

შეჯიბრებას სკის გამოცდილი ბაზიერი 82 წლის ბ. ყორდანია.

ო. ᲘᲐᲨᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲨᲔᲛᲝᲛᲮᲕᲔᲕᲐ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ

ᲒᲘᲒᲘ ᲒᲝᲒᲝᲮᲘᲐ დარჩის (გალი) სკოლის მოსწავლეა. იგი თავისუფალ დროს ჩაის პლანტაციისაკენ მიიჩქარის. იმ დილითაც ადრე ადგა, და ჩაის საკრეფად გაეშურა, მაგრამ წვიმა დაიწყო, და გიგიმ ისევ სახლისაკენ მოკურცხლა. ოქუმის ხიდი უნდა გაევლო, მაგრამ რაკი იგი შორს იყო, შარავალი მუხლებამდე აიკარწახა და პირდაპირ მდინარეში შეტოპა, ერთბაშად წამოსულმა ნიაღვარმა ქვის ლოდებზე მიახეთქა და გაიტაცა 15 წლის ახალგაზრდა. ბედად ახლოს აღმოჩნდნენ გაბედული ადამიანები პ. ვაზგანავა და რ. ჭოლარია. ისინი მდინარის მღვრიე ტალღებში შევიდნენ და ბავშვი გადაარჩინეს.

დ. ᲩᲘᲥᲐᲫᲔᲠᲘᲐ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲪᲘᲢᲐᲚᲘ "ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐᲖᲔ"

ᲖᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). დიდი პოპულარობითა და მოწონებით სარგებლობს ზისტაფონის სიმღერის ანსამბლი „იმერეთი", რომელსაც ზ. ლოლაძე ხელმძღვანელობს.

„იმერეთი" ამას წინათ იყო ლენინგრადში. ლენინის ქალაქის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ქართულ ანსამბლს.

„სულიკო" გაისმა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ ჩერნიახოვსკის სახელობის სკოლის ბღუში. პირველმა კონცერტმა ფართო ადიარება მოუხვეჭა ანსამბლს.

ანსამბლის წევრებისათვის ეს დაუვიწყარია ლენინგრადარ „ავრორაზე" გამოსვლა. სამჭოთა და უცხოელი ტურისტები, კრეისერის ეკიპაჟი მხურვალე ტაშით შეხვდნენ ანსამბლის მიერ შესრულებულ სიმღერებს. გემის კაპიტანმა ანსამბლის წევრებს მოუთხრო რევოლუციურ ლენინგრადზე, სამამულო ომის მრისხანე დღეებზე, სიყვარულით მოიგონა საზღვაო ფლოტის კონტრ-ადმირალები ს. კაპანაძე და კ. სუხიაშვილი, რომლებიც წარმოშობით ზისტაფონიდან იყვნენ.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲒᲘᲚᲘᲙᲔᲒᲘᲗ

ᲛᲔᲡᲢᲘᲐ. (საკ. კორ.). უშბისა და თეთნულდის სიდიადე, ათასწლოვანი სვანური კოშკები, ანკარა ნაკადულები და ჩანჩქერები, მუდამ მშფოთვარე ენგური გარშემო ათასწლოვანი წიწვნარებით, ბევრი სხვა თვალწარმტაცი სანახაობა იზიდავს ტურისტებს სვანეთში.

აქ საიდან არ მოდიან ჩვენი სამშობლოს ნახვის მსურველნი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან, შორეული ამერიკიდან, ბალტიისპირეთიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან.

მესტიის ტურბაზა ერთდროულად 200 ტურისტს ემსახურება. მას ნაკრაში, შიბრასა და ტვიბერში აქვს კეთილმოწყობილი ფილიალები. ტურისტები აქ რჩებიან 2-3 დღე-ღამის განმავლობაში, ეცნობიან მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ᲨᲣᲮᲐᲛᲘ

ᲙᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲙᲝᲜᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ

ბანა უცნაური არ არის, წერილს დასაწერად დაჯდე და კი არ იცოდე, ვის და სად მისწერო — არც სახელი იცოდე მისი, არც მისამართი?!..

ასეთ მდგომარეობაში ჩაგვაყენა რედაქციაში შემოსულმა ერთმა წერილმა, რომლის ავტორი შვილის გამო დახმარებას გვთხოვს, მაგრამ არც თავისი ვინაობა სურს გაგვიმხილოს, არც შვილისა.

ნუ შუვდგებით ახლა იმის განჯას, ჭკნდა თუ არა მას საფუძველი ასე მოქცეულიყო. დედას მიაჩნია, რომ მისი შვილისათვის ასე სჯობს, და ისიც ისე მოიქცა, როგორც გულმა უკარნახა.

მაგრამ ჩვენ რა გვნათ, როგორ მოიქცეს რედაქცია, რით მიემეგულოს ადამიანს, რომელსაც უჭირს და დახმარებას ითხოვს, გამოჩენა კი არა და არა სურს?!...

და მაინც შეუძლებელია უპასუხოდ დატოვო ასეთი თხოვნა იმ მოტივით, რომ მთხოვნელის ვინაობა არ იცი, ხომ არ ეკითხებიან ვინაობას წყალში ჩაგარდნილს, რომელიც შველას ითხოვს!

მკითხველი უთუოდ დაინტერესდა: მაინც რა სათხოვარია ასეთი, მთხოვნელს რომ აიძულებს თავისი ვინაობა დამალოს?

აი ისიც, ამ წერილის უცვლელი ტექსტი თავიდან ბოლომდე:

„ამ წერილს გწერთ ერთადერთი შვილის თვალცრემლიანი დედა. ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემმა შვილმა დაიწყო ნარკოტიკების მიღება. არაფერმა არ გასჭრა, არც რჩევა-დარიგებამ, არც ხვეწნა-მუდარამ, ვერ დავაშლეგინეთ. მერე, როდესაც თქვენს გაზეთში აქვეყნებდით სტატიებს ნარკომანიის მავნებლობაზე და ტელევიზორშიც უჩვენებდ ნ ენ, თითქოს შეშინდა ჩემი შვილი, ერთი წლის განმავლობაში ალარ დაულევია. ახლა კი ისევ დაიწყო ამ შხამის მიღება. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, მელუპება შვილი, მთლად წავდა ხელიდან, სწავლაზე გული აიყარა, არც მუშაობა სურს.

გამწარებული დედა გთხოვთ დამეხმაროთ, კიდევ გამოაქვეყნოთ გაზეთ „კომუნისტში" წერილები ნარკომანიის წინააღმდეგ, დაწეროთ მის მავნებლობაზე. იქნებ ჩემს შვილზე იმოქმედოს და გადაეჩვიოს ვიდრე ახალი დაწყებული აქვს.

მაპატიეთ, დედა ვარ და ნუ დამძრახავთ, რომ არ შემიძლია აქ ჩემი შვილის გვარი და სახელი მოვიხსენიო. ძალიან ამაყი და თავმოყვარეა და მეშინია რამე არ აუტეხოს თავის თავს. ვერც ჩემს ვინაობას გეტყვით, ეს ხომ ჩემი შვილის ვინაობის გამხელაც იქნებოდა. ესეც არ იყოს, რა ვქნა, მრცხვენია: რატომ ვერ შევძელი წესიერად გამეზარდა ერთადერთი შვილი. მე ხომ მისთვის არაფერი არ დამიკლია — ვასწავლიდი მუსიკას, უცხო ენას, კერძო მასწავლებლებთან დამყავდა, რაც სურდა და რაც საჭირო იყო, ყველაფერი ჰქონდა. და მაინც დამელუპა, ვერ ავაცდინე ცუდ გზას, იქნებ თქვენ მომეხმაროთ, მიშველოთ რამე.

გწერთ უბედური თვალცრემლიანი დედა".

ახლა ხომ ხედავ, მკითხველო, რატომაც დაიმალა დედა ამ სტრიქონებს უკან, რატომ ვერ გაგვისწორა თვალი და შვილსაც კალთა გადაფარა, განარიდა საზოგადოებრივ მსჯავრს და გაკიცხვას.

მრცხვენიაო.

რა გაეწყობა, ვერ ვიტყვი, რომ ასეთი შვილის ყოლა სასირცხო და სათაკილო არ იყოს, მაგრამ უფრო სამარცხვინო და სამწუხარო ის არის, რომ სირცხვილ-ნამუსის მთელი ეს ტვირთი, შვილის წილიც და თავისიც, მარტო დედას აუკიდნია, შვილს კი ნიავიც არ უნდა მიეკაროს.

ძალიან ამაყი და თავმოყვარეა და ვინ იცის თავის თავს რა აუტეხოსო!

ამაყი და თავმოყვარე კი არა, უნებისყოფო, უზნეო და თავგასული. ნარკოტიკებით გაბრუებული მთელ დღეს უსაქმურობასა და ბედოვლათობაში ატარებს, იცის, რომ ეს ცუდი, მაგრა საქციელია, მაგრამ მაინც ვერ დაუშლია.

მაპატიეთ, რომ ერთადერთი შვილის დედას ამას გეუბნებით, მაგრამ მეც შვილების პატრონი ვარ და მოდით ვილაპარაკოთ გულახდილად, ვიყოთ მკაცრი და მიუდგომელი, საგნებსა და მოვლენებს თავიანი ნამდვილი სახელი ვეწოდოთ. ნუ დავვაბრმავებს მშობლიური გრძნობა და ბოლომდე ვთქვათ სათქმელი.

ნუ დაიწყებთ თავის მართლებას, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, მიგიძღვით თუ არა ბრალი თქვენ, მშობლებს ამაში?

არაო, ვერ იტყვით. ეს საზოგადოებისა და უწინარეს ყოვლისა საკუთარი თავის მოტყუება იქნებოდა. თქვენი შვილის გაუზნეურება ალბათ მაშინ დაიწყო, როცა თქვენ ის დედისერთად დატოვეთ. თქვენი ოჯახის მდგომარეობა არ ვიცი და იქნებ მიზეზიც გქონდეთ ერთადერთ შვილზე რომ შეჩერდით, მაგრამ ასეა თუ, ისე, ჩანს, დედისერთობამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა თქვენი შვილის ბუნება და ხასიათი.

თქვენ მას, უთუოდ, ანებივრებდით და ასათუთებდით, უსიტყვოდ უსრულებდით ყველა სურვილს, უნერგავდით და აჩვენებდით იმ აზრს, რომ ის თქვენი ერთადერთი ნუგეში და იმედია. ისიც გადიდებულდა და გაიბერა. სხვისგან მოითხოვს ყველაფერს, ხოლო სხვის თხოვნასა და ნებას კი აინუნშიაც არ იგდებს.

გვონიათ თქვენ — მშობლები კი უყვარხართ და პატივს გცემთ? ალბა რანაირად! მას ხომ დედის ტანჯვა და ცრემლები ერთ დოზა გამაბრუებელ შხამადაც არ ეყოფის.

არა, მას არავისი პატივისცემა არა აქვს. ხოლო აქედან წარმოსდგება განურჩევლობა და განუკითხაობა, ყველაფრისადმი ზერელე და უგულო დამოკიდებულება. და ბოლოსდაბოლოს რა უნდა აკეთოს ასეთმა კაცმა, სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე ახალგაზრდამ, რომელსაც ვერავითარი საქმისათვის გული ვერ დაუდვია... მისი ერთადერთი საფიქრალია, რითი გაერთოს, რა წაგლიჯოს და წაღლიტოს ქვეყანას საკუთარი სიამოვნებისათვის. სწორედ ასეთ სავეგო და ამაო სიამოვნებათა ძიებას ხოსდევს ხოლმე ნარკომანია. ლოთობა, გარყვნილება და ყოველგვარი ადამიანური და არაადამიანური სიგლახე და ბიწიერება.

— კი მაგრამ რატომ, რატომ, — იტყვის დედა, ანონიმური წერილის ავტორი, და ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავს, — რატომ უნდა გამხდარიყო ჩემი შვილი ასეთი, მე ხომ მისთვის მზრუნველობა არ დამიკლია, და ავლავ გაიხსენებს შვილის ნაირნაირ კოსტიუმებს, მუსიკასა და უცხო ენაში კერძოდ დაქირავებულ მასწავლებლებს.

კი, ბატონო, ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბავშვები სხვებზე უკეთესი იმის გამო კი არ ხდებიან, რომ სხვებზე მეტს ჭამენ და სხვებზე უკეთ აცვიათ. ადამიანის სულს უცხო ენისა და მუსიკალური ნოტების ცოდნა კი არ ამდიდრებს, არამედ სიყვარული, სიყვარული და რწმენა, რასაც აკვნიდანვე, ეჰ, საბრალო მშობლები, ყველაფერში ისინი არიან დამნაშავენი! კი დედამ შვილისათვის გამოიდო თავი, დახმარება გვთხოვა და ჩვენ კი... მაგრამ მარტო ოჯახში ხომ არ ეზრდებიან ბავშვები? სად იყო სკოლა, სად იყვნენ აღმზრდელ-მასწავლებლები, პიდაგოგები, ამხანაგები და მეგობრები, რომელთა შორის ის ტრიალებდა?!

შენ თვითონ რას გვეტყვი, უმადურო შვილო, შენც ხომ კითხულობ ახლა ამ სტრიქონებს? ალბათ დედის წერილი გენიმნა, და არ იცი ახლა, საკუთარ თავს სად დაემალო!

შენს გამო დახმარებას გთხოვს შენი ბედით შეწუხებული დედა, და შენ თვითონ გკითხარი, რით შეგეძლია დაეხმაროთ, რით ეანუგეშოთ?

ერთადერთი იმედი ისევ შენზეა. შენ შეგიძლია იხსნა დედა დარდისა და მწუხარებისაგან, გადაარჩინო ისიც და საკუთარი თავიც, მთელი შენი ოჯახი.

თუ კიდევ შეგრჩა ვაჟკაცობა, თუ კიდევ შეგრჩა დედის უნიდან გამოყოლილი სითბო და სიყვარული, შენ ამას იზამ. განა რა არის ასეთი ამ ავადსახსენებელ შხამებში, რომ თავი ვერ დაგიღწევია?!

მე არ ვიცი, ვინა ხარ შენ, ისიც კი არ ვიცი, ჭაბუკი ხარ თუ ქალაშვილი, მაგრამ ვინც უნდა იყო, შენ ხომ ახლა სიცოცხლის გაფურჩქვნის ასაკში ხარ, როცა ადამიანში ყველაზე მძაფრია მშვენიერებისა და ბედნიერების გრძნობა, როცა ადამიანის იმედები და ოცნება მეშვიდე ცას სწვდება! მაშ შენ რა ღმერთი გაგიწყრა, ასე რამ წაგახდინა და დაგაჩაჩნაა?!

შენი ტოლები რომ ვიყავით, ჩვენ, თქვენი მამები, ფრონტზე, ტყვიისა და ცეცხლის პირისპირ ვიდექით. რამდენი შენი ტოლი სამუდამოდ დარჩა იქ. დედამიწა მოფენილია შინმოუსვლელთა საფლავებით, და ყოველი ახალი თაობა მოგალეა შეჭიდებულ ამ საფლავებს, რომ იმ თავდადებულთა სისხლი უქმად არ დაღვრილა, რომ სამშობლო, რომელიც მათ გადაარჩინეს, კვლავ საიმედო ხელშია.

შენი და შენისთანელების იმედი კი აბა შეიძლება ჰქონდეს ჩვენს ხალხს, სამშობლოს?!

ნეთუ არ იცი რას უქადის შენი ეს ავადმყოფური მიდრეკილება შენს ჯანმრთელობას და მთელ შენს მომავალს! შენ ოჯახს... შენ იღუპები, და ამით მარტო დედას როდი მიაყენებ ტკივილს. დედის ტკივილი ხომ ქვეყნის ტკივილია და ჩვენ ამიტომ დედაშენთან ერთად გვტკივა გული შენს გამო.

— თავი დანანებოს ყველამ, ჩემი საქმე ხე ვიცი, — გაბრაზებით წამოიძახებ ალბათ შენ, ამ სტრიქონს რომ წაიკითხავ.

მაგრამ შენ მარტო საკუთარი თავის წინაშე როდი ხარ პასუხისმგებელი. ადამიანი ოკეანეში გარიყული კუნძული როდია. შენ შენი ქვეყნის, შენი ხალხის შვილი ხარ—სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი მისი, და რომ დაიღუპო, ისევე დაკლდები ქვეყანას, როგორც დედის გულს...

ნურც იმას დაივიწყებ, რომ შენი მოქმედებით მეტად ცუდ მაგალითს აძლევ სხვებს, და შენი მიბაძვით ერთმანეთ რომ დაიწყოს ნარკოტიკების მიღება, იცოდე ეს უმძიმეს დანაშაულად დაგაწვება კისერზე...

აი სადამდე მიგიყვანა ამაო სიამოვნებათა ძიებამ.

მერე და რა ადვილად შეგეძლო აცდენოდი ამ გზას, საზოგადოების, შენი მეგობრებისა და ამხანაგების მცირედი სიყვარული და პატივისცემა მაინც რომ ჩაგეგდო გულში?

განა მართალს არ გეუბნები? ბა დაფიქრდი! წაგიკითხავს ეგზეუპერის „ადამიანთა მიწა?. გახსოვს გიიომე? იგი მფრინავი იყო, ეგზეუპერის უახლესი მეგობარი. მაშინ ისინი ერთად მსახურობდნენ საფრანგეთის ხაზოვანალაჩო ავიაციაში. ერთხელ თვითმფრინავის კატასტროფის შემდეგ გიიომე მარტოდმარტო დარჩა თოვლიან ანდებში ზამთარში, ორმოცგრადუსიანი ყინვის დროს. მაშველი ექსპედიციის გაგზავნას აზრი არა ჰქონდა — ზამთრობით ანდები ადამიანებს უკან არასოდეს არ აბრუნებენ. მთებში ქარიშხალი მძვინვარობდა. გიიომემ თოვლში საფარი ამოთხარა და ორი დღე-ღამე ელოდა ქარიშხლის ჩაფგომას. მერე როცა ქარიშხალი ჩადგა, გზას გაუდგა. ხუთი დღე და ოთხი ღამე შეუსვენებლივ იარა თოვლიან მთებში, და გადარჩა.

და იცი, რამ გადაარჩინა ეს შეუპოვარი ადამიანი?

სიყვარულმა, იმათმა სიყვარულმა, ვინც მას იქ, შინ ელოდა. იყო წუთები, როცა მას ძალა ელეოდა, სხეული უარს ამბობდა სიცოცხლის მძიმე ტვირთი ეზიდა. გრძნობდა შხამად ქცეული სიცივის ძალას, რომელიც მორფიუმის მსგავსად ნეტარებას ანიჭებდა... ასეთ წუთებში იგი მზად იყო დაეცემულიყო ყინულზე და ხმუდამოდ დაეძინა თოვლის სუდარის ქვეშ, მაგრამ არ დაეცემოდა. მის დიად სულს ძალასა და მხნეობას ანიჭებდა სიყვარული და პასუხისმგებლობა ამხანაგებისა და მაბლობლებისადმი, რომლებიც მას ელოდნენ და მისი დაბრუნების იმედი ჰქონდათ. და ის გადარჩა.

შენ კი ამდენი გასაჭირი არაფერი გაგვს. საკმარისია ნებისყოფის მცირე დაძაბვა, და ხაშვიეთობის იქნები. სადაც გელის გულმოკლული დედა, გელიან ახლობლები და ამხანაგები, რომელთა მწუხარება და სიხარული შენზეა დამოკიდებული.

იმ წუთიდან, ამ წერილს რომ წაიკითხავს, შენი წესიერი ცხოვრების გზაზე დაბრუნებას ელის ამ გზეთის ყოველი მკითხველიც.

მ. ᲛᲘᲥᲐᲫᲔ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: მკითხველს ვთხოვთ მოგვწეროს თავისი მოსაზრებანი ამ წერილზე, რას ფიქრობთ იმ უცნობი ახალგაზრდის ბედზე, რა ბაძვთ სათქმელი დედისათვის.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

ᲑᲣᲛᲔᲠᲐᲜᲒᲘ

ᲔᲓᲘᲗ ᲨᲢᲐᲘᲜᲛᲐᲜᲘ

...ეს კვანძი იმიტომ გავაკეთე, რომ გასროლის წინ დამცველის დაშვება არ დამავიწყდეს...



— თქვენი ღვიძლი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მკურნალმა უკვე დაგვიანებულია.

— არა უშავს, მე ხვალაც შემიძლია მოვიდე...

„სოციალისტი ჩეხოსლოვაკია"

მოხუცმა ოსკარ ნოიმანმა ნაშუადღევს, ჩვეულებრივად, თავის საყვარელ სკვერში რომ გაისეირნა, ხის ძირას, ჩრდილში საფულე იპოვნა. ოსკარმა გულდამით გაიხარეა, მაგრამ შიგ დამკარგავის ვინაობა ვერ აღმოაჩინა. საფულეში 76 მარკა და თეატრის ორი ბილეთი იდო იმ საღამოს პრემიერაზე. „აფსუს, ამის დამკარგავი დღეს სპექტაკლს ვერ დასწრებაა", — გაიფიქრა ოსკარმა. გულჩვილი კაცი გასლდათ და სინანულისაგან კინაღამ თვალები აუცრემლდა. მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორ ეპოვნა სასწრაფოდ საფულეს პატრონი და დანაკარგი ჩაებარებინა. უცებ ოსკარს რაღაც გაახსენდა და სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაეფინა...

ხუთიოდე წუთის შემდეგ ოსკარი უკვე ნაპოვნი ნივთების ბიუროში მოხელის მაგიდასთან იდგა. სამუშაო საათების დამთავრებას კი ათი წუთიღა აკლდა. მოხელემ უკმაყოფილოდ შეათვალიერა დაგვიანებით მოსული და წერას შეუდგა.

— საღამო მშვიდობისა,— თავაზიანად მიესალმა ოსკარი.

მოხელემ პასუხის ნაცვლად წყრომით გადმოხედა.

— მომიტევეთ, მე მინდოდა... მორიდებით დაიწყო ოსკარმა.

— მაცალეთ, — მკვახედ მოუჭრა მოხელემ და წერა განაგრძო.

ოსკარმა ადელვების დასაცხრობად ოთახში გაიარ-გამოიარა. სასწრაფო საქმე იყო, მოთმინება არ ჰყოფნიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ შეკბედა:

— საფულე ვეძებე და მინდოდა...

მოხელემ მკაცრად ამოხედა ბებერ მოხუცს და ხელი ისევ ფურცლებს დაუბრუნა.

ოსკარის ნათქვამს მოხელეზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, ისევ წერას განაგრძობდა. მდგომარეობა ძალიან დაიძაბა, დრო არ ითმენდა, ოსკარი ორიოდე ნაბიჯით მიუახლოვდა მოხელის მაგიდას და ცოტა უფრო ხმამაღლა უთხრა:

— ეგესმით თუ არა, მე მინდა ნაპოვნი საფულე ჩაგაბაროთ. აი, აკა მაქვს.

მოხელეს საფულისათვის თვალი რომ შეეყარა, შეიძლება საქმე სხვაგვარად დატრიალებულიყო, მაგრამ მან ხელოვნ საათს შეხედა, კალმისტარი დადო და წამოდგა.

— რა პასუხს მაძლევთ?

— ჰკითხა მოუთმენლად ოსკარმა.

— ვერა ხედავთ, სამუშაო საათები დამთავრდა? — ბრაზიანად განუმარტა მოხელემ და თან დასძინა: — შეგიძლიათ ხვალ დილით ცხრა საათზე მოხვიდეთ.

— ეშმაკსაც წაუღიხართ, სულაც არ მეპიტნავება ხვალ კიდევ ეგსაბეროთ, აქ მომსულელი ალარა ვარ, — უკმაყოფილოდ ჩაიბუტბუტა ოსკარმა, საფულე ჯიბეში ჩაიდო და მოხელის პასუხისათვის ალარც დაუცდია, შენობიდან გავიდა.

ამასობაში მოხელემ ხელი დაიბანა, პალტო ჩაიცვა, შლიაპა დაიხურა და შინისაკენ გასწია. ცოლი კარებში შეეგება.

ვახშამი უკვე წინასწარ მოვამზადე, — ახარა ცოლმა და თან ჰკითხა: — შენ როგორია ხარ პირობაზე, იშოვნე თეატრის ბილეთები?

— რა თქმა უნდა, ჩემი კარგო! — მიუალერსა ქმარმა და ხელი უბისაკენ წაიღო. იქ რომ ვერაფერი იპოვნა, ცოტა არ იყოს, შეკრთა.

— რა, არა გაქვს? — ჰკითხა შეცბუნებულმა ცოლმა.

— ალბათ საფულეში თუ ჩავდე, — მიუგო ნირწამხდარმა ქმარმა და ახლა პალტოს ჯიბეების ქექვა დაიწყო.

— ალარც საფულე გაქვს? რა უყავი? — ჰკითხა გაგიჟებულმა ცოლმა.

— დამკარგვია, — წაიჩურჩულა დარცხვენილი კაცმა, — არსად არა ჩანს... საქმე ის არის, რომ დღეს ერთი კაცი მოვიდა ჩემთან და ნაპოვნი საფულე მოიტანა, ვინ იცის, იქნებ ჩემი იყო. ნეტავი უკან არ გამეტარუნებინა. ალარც მოვა.

მეორე დღეს ოსკარმა გაზეთში წაიკითხა განცხადება დანაკარგის შესახებ.

დამკარგავის ბინა ძალიან შორს რომ არა ყოფილიყო, იმ დღესვე მიუტანდა დაკარგულ საფულეს, მაგრამ ოსკარს მხრებზე სამოცდაათამდე წელი აწევს და, მოგეხსენებათ, ამ ასაკის ადამიანი მალე იღლება. ოსკარმა დამკარგავს წერილი გაუგზავნა.

კვირა დღეს ოსკარმა ზარის ხმაზე ოთახის კარი რომ გააღო, მის წინ უაღრესად დარცხვენილი და თავაზიანი მოხელე იდგა, მან თავის დაკარგულ საფულეს მოაკითხა...

მერე გავიგეთ, რ